პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 107 (6918) 6 1981 წ. ივნისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნუ დაჰკარგავთ საუნჯეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში!

დავტვირთოთ სპორტული ბაზები

მშრომელთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტ-მასობრივი საქმიანობის ფართოდ გაშლა, მათი ჯანმრთელობის გაკაჟებისთვის ბრძოლა მუდამ იყო პროფკავშირული ორგანიზაციების ძირითადი ამოცანა. ამას ისინი აღწევენ მასობრივი შეჯიბრებების, ტურისტული ლაშქრობების სისტემატური ჩატარებით.

სკკპ XXVI ყრილობის დადგენილებებში თვალსაჩინოდ აისახა მოსახლეობის ყველა ფენის ჯანმრთელობის შემდგომ განმტკიცებაზე ზრუნვა.

რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები ამ ამოცანის განხორციელებისთვის ძალ-ღონეს არ ზოგავს, თუმცა ყველაზე ასე როდი ითქმის.

საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების კომიტეტი 29 პირველად ორგანიზაციას აერთიანებს 4 ათასზე მეტი წევრით. ჩვენთან სათანადო ყურადღება ეთმობა მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ამაღლებას, რომლის ძირითად ფორმას სპარტაკიადები წარმოადგენს. მაგრამ მარტო ამით როდი ვკმაყოფილდებით. კოლექტივებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში სათანადო ადგილი უკავია ამ სპორტულ ნაგებობათა დატვირთვის საკითხს, აგრეთვე, სპორტის სასახლეში, ცენტრალურ ველოდრომზე, ჭადრაკისა და მძლეოსნობის სასახლეებში, ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო ბაზაზე, ცენტრალურ წყალჯომარდობის ბაზაზე შექმნილ გამაჯანსაღებელ ჯგუფებში გაერთიანებულთა რიცხვის ზრდაზე ზრუნვას. სოცშეჯიბრების დებულების მოთხოვნაა სწორედ გამაჯანსაღებელი ჯგუფების ხარჯზე შესრულდეს საარენდო შემოსავლის გეგმები.

ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბაზების დატვირთვასა და გამაჯანსაღებელი ჯგუფების მასიურობას. სპორტულ ბაზებზე ყველა პირობა უნდა შევუქმნათ სამეცადინოდ მოსულ ყველა ასაკის ადამიანს.

წყალჯომარდობის ცენტრალურ ბაზაზე მოქმედ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ჯგუფებში სამოქალაქო თავდაცვის შტაბის, თბილისის საბჭოს აღმასკომის, ყრუ-მუნჯთა საზოგადოების, რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის და მიკრორაიონის 110 მცხოვრები ვარჯიშობს. მათ განკარგულებაშია შესანიშნავი დარბაზი, სამედიცინო მომსახურება, სანაპირო პარკის ბილიკები, ამას გარდა, აქ განზრახულია ჯანმრთელობის სპეციალური კომბინატის შექმნა. ვფიქრობთ მაშინ პარკის მთელი ტერიტორია ამ სასიკეთო საქმეს დაეთმობა, მოეწყობა სარბენი ბილიკები, მოედნები...

გაზაფხულზე „ლელომ“ თავის ფურცლებზე ფართოდ გააშუქა დედაქალაქის ბაზების გამოყენებისადმი მიძღვნილი რეიდის მასალები, რომლებშიც რამდენიმე სპორტული ბაზა სამართლიანად იყო გაკრიტიკებული. კრიტიკა ჩვენს ორგანიზაციებსაც გადაწვდა. შენიშვნები გავითვალისწინეთ. ახლა პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის დაქვემდებარების ორგანიზაციებში ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება სრულად ვუპასუხოთ პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს.

სამწუხაროდ, ზოგჯერ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დღის 11-დან 16-საათამდე გვიქირს ბაზების დატვირთვა, ვინაიდან დროის ამ მონაკვეთში მეცადინეობით დაკავებულ მოსწავლე ახალგაზრდობას არ აქვს ვარჯიშის საშუალება, ხოლო მუშა-მოსამსახურენი ამ დროს მუშაობენ. მაშასადამე გამოსავალი იმაში უნდა ვიპოვოთ, რომ ამ პერიოდში მასობრივად მოვიზიდოთ მოსახლეობის სხვა ფენების წარმომადგენლები.

სპორტული ბაზების მთლიანად დატვირთვაში დიდი როლის შესრულება შეუძლია სპორტული სკოლებისა და სპორტსაზოგადოებების ხელმძღვანელებს. ბევრი მათგანი ბაზების სიმცირეს განიცდის, ქალაქის კეთილმოწყობილი ბაზების იჯარით აღებაზე კი არ ზრუნავენ. ისეც ხდება: იჯარით აღებულ ბაზებზე ჯგუფები სამეცადინოდ დროულად არ ცხადდებიან და მათთვის განკუთვნილ საათებშიც ნაგებობები უქმად ცდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებში გარკვევით არის ნათქვამი, რომ XI ხუთწლედში კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს არსებული სპორტული ნაგებობების სრულად დატვირთვას, მოსახლეობის ყველა ფენაში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვას. ამ ამოცანების შესრულებაში ყველამ სათანადო წვლილი უნდა შეიტანოს.

ა. მხეიძე,
კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე.

ვინც დროულად ეხმარება...

თბილისელ მაყურებელს კარგა ხანია არ უნახავს რესპუბლიკური შეჯიბრება ცხენოსნობაში. ასეთი ზეიმები, რომლებიც ადრე სისტემატურად იმართებოდა იპოდრომზე, თანდათან დავიწყებას მიეცა. მაგრამ ყველაზე საგანგაშო ის გახლავთ, რომ ხალხი უწინდებურად აღარც იმ სხვადასხვა რანგის სპორტულ ასპარეზობებს ეტანება, რომლებიც ამ სახეობაში იმართება: ამას რომ ვამბობთ, მარტო თბილისს როდი ვგულისხმობთ. მეტნაკლებად გულგრილობა იგრძნობა ყველგან, თვით იმ რეგიონებშიც კი, რომლებიც ცხენოსნობის ძირითად კერებად მიგვაჩნია. რა არის ამის მიზეზი? ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი რომ გავცეთ, რამდენიმე კონკრეტული ღონისძიება უნდა გავიხსენოთ.

პირველ ყოვლისა, თბილისის იპოდრომზე ამას წინათ ჩატარებულ ზეიმზე შევაჩერებთ ყურადღებას. ამთავითვე ვიტყვით, რომ მისი ორგანიზაცია ძალზე ძნელი იყო, რადგან აუცილებელი გახდა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან ცხენოსნობის ეროვნული სახეობების ოსტატების მოწვევა. განსაკუთრებით გაჭირდა ცხენთა დაბინავება. რესპუბლიკურმა ფედერაციამ, საქართველოს სპორტკომიტეტმა და „კოლმეურნეს“ ცენტრალურმა საბჭომ ყველაფერი იღონეს, რომ დღესასწაულს საზეიმო ელფერი მისცემოდა, და მაინც თბილისის იპოდრომის ტრიბუნებზე, მიუხედავად იმისა, რომ ცხენთგამოცდის ახალი სეზონი იმ დღეს იხსნებოდა, კანტიკუნტად თუ ნახავდით მაყურებელს. ვამბობთ ამას და უნებლიედ გვახსენდება 60-იანი წლები, განსაკუთრებით კი მისი პირველი ნახევარი, როცა არა მარტო ტრიბუნები, არამედ იპოდრომის შემოგარენი, საიდანაც კი არენა გამოჩნდებოდა, ხალხს ვერ იტევდა. ცხენოსნობა დიახაც, რომ უყვარდათ თბილისელებს და თუ კი უქმე დღეებში გართობა-დასვენების ობიექტი ასარჩევი იყო, ოჯახის წევრთა ერთსულოვნება მუდამ იპოდრომის სასარგებლოდ იხრებოდა.

როგორც ვთქვით, მაყურებელი პერიფერიებშიც იშვიათად ესწრება ასპარეზობებს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ დადასტურდა, როცა ახლახანს ოჩამჩირეში გამართულ საქართველოს პირადგუნდურ ჩემპიონატს დავესწარით. გავესაუბრეთ რამდენიმე გულშემატკივარს და უმალვე გაქარწყლდა აზრი თითქოს ცხენოსნობა აღარ იზიდავდეს მაყურებელს. **ის, რაც გვაშფოთებდა, თურმე სულაც არაა ცხენოსნობისადმი მაყურებლის გულგრილობის შედეგი. ხალხს უყვარს ცხენოსნობა, მაგრამ ბოლო ხანებში მისდამი ინტერესი განელდა მხოლოდ იმიტომ, რომ მაყურებელი იმას ვერ ხედავს, რაც უყვარს, რაც იზიდავს, რაც მისეულია, ხალხურია.** ადრე ნებისმიერი შეჯიბრება, თუნდაც მხოლოდ ცხენოსნობის საერთაშორისო სახეობებში, ისე არ ჩაივლიდა, პროგრამაში საჩვენებლად მაინც არ შეეტანათ ცხენოსნობის ეროვნული სახეობებიც. სწორედ ეს იზიდავდა ხალხს იპოდრომზე. ის კი არა, წინათ, იმავე ოჩამჩირეში, ცხაკაიაში, ზუგდიდში, გუდაუთაში თუ ჩოხატაურში გამართულ ასპარეზობებზე ასაკოვანთ თავიანთი ცხენები მოჰყავდათ, შეჯიბრების მსაჯებს ჩააბარებდნენ — ვინც გინდათ შესვით, მარულაში გამოსცადეთო. იყო ერთი აყიოტაჟი და ჭიდილი. ასეთია ხალხური წესი, რომელსაც უთუოდ სჭირდება ანგარიშის გაწევა და გათვალისწინება. იმ რამდენიმე კაცმა კი, რომლებსაც ოჩამჩირის იპოდრომზე ვესაუბრეთ, მართლაც შესანიშნავად გამოხატა საერთო აზრი: თუნდაც ერთი მარულა ჩაეტარებინათ და ნახავდით, ხალხის ტევა არ იქნებოდაო.

* * *

თბილისის იპოდრომზე რატომ არ დადის ხალხი? — დაინტერესდება მკითხველი. **იმიტომ არ დადის,**

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს სპორტსმენთა წარმატება

ვერცხლის მედლები პირველად!

მუშკეტერთა საკავშირო ჩემპიონატზე, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობს, გუშინ დამთავრდა რაპირით მოფარიკავეთა გუნდური პირველობა.

საქართველოს სპორტსმენებმა შესანიშნავად იასპარეზეს და პირველად მოიპოვეს სსრ კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის მედლები.

ჩვენმა მოფარიკავეებმა წააგეს მხოლოდ ბელორუსიის წარმომადგენლებთან (4:9), რომლებიც ოქროს მედლებს დაეპატრონნენ.

მესამე ადგილზე გავიდა მოსკოვის გუნდი.

კვირას თბილისში გაიმართება ტრადიციული კომბინირებული წრიული ამანათრბენი გაზეთ „კომუნისტის“ პრიზზე.

ამ შეჯიბრებას რამდენიმე წლის წინ ჩაეყარა საფუძველი. მასში მონაწილეობენ საზოგადოებებისა და უწყებების გუნდები. ასპარეზობა, რომელსაც გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია და თბილისის სპორტკომიტეტი აწყობენ, ამჯერად 21 ეტაპისგან შედგება. აქედან 3 ეტაპი ეთმობა ველოსიპედისტებს, რომლებიც სულ 7800 მეტრს გაივლიან. დანარჩენ 7500 მეტრზე (18 ეტაპი) ამანათი მძლეოსნებმა უნდა ატარონ.

ტრასა ლენინის ქუჩიდან იწყება და მელიქიშვილის ქუჩის, ჭავჭავაძის გამზირის, გურამიშვილისა და პავლოვის ქუჩების, მშვიდობის გამზირის, ჩელუსკინელების ქუჩის, პლეხანოვის გამზირის, მარცხენა სანაპიროს გავლის შემდეგ ლესელიძის ქუჩით შევა ლენინის მოედანზე, ხოლო აქედან რუსთაველის გამზირით დაბრუნდება „კომუნისტის“ რედაქციასთან, სადაც მოეწყობა ფინიში.

მოგაგონებთ, რომ შარშან ამგვარ შეჯიბრებაში აბსოლუტურად საუკეთესო დრო აჩვენა „ბურევესტნიკის“ I გუნდმა, მაგრამ მთავარი პრიზი მიეკუთვნა „დინამოს“, ვინაიდან მას 2 გუნდის ჯამში ყველაზე კარგი მაჩვენებელი (1:25.36) აღმოაჩნდა.

შეჯიბრება 11 საათზე დაიწყება.

ჩოგბურთის ახალ სტადიონზე

ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონებმა მოსკოველმა ო. მოროზოვამ და თბილისელმა ა. მეტრეველმა აღმართეს პირველი შეჯიბრების ალამი ჩოგბურთის ახალ სტადიონზე, რომელიც სოხუმში გაიხსნა. ამ ტურნირის ყველაზე მეტად დაინტერესებული მაყურებლები იყვნენ აფხაზეთის საყოფაცხოვრებო კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მუშები, რომლებმაც ეს 5-კორტიანი სპორტული კომპლექსი ააგეს.

ქალთა ასპარეზობაში სამივე საპრიზო ადგილი მოსკოველებმა ე. გრანატუროვამ, ს. ჩერნიოვამ და ე. პოლიაკოვამ მოიპოვეს.

ვაჟთა შეჯიბრებაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა წყვილთა ტურნირში ევროპის შარშანდელი ჩემპიონი ს. ლეონიუკი (მინსკი). მეორე იყო მისი თანამემამულე ა. დემიდენკო, მესამე — მოსკოველი ევროპის ჩემპიონი ვ. ბორისოვი.

ვაჟების „დუეტთა“ ფინალში დემიდენკომ და კ. რაჩკოვსკიმ (კიევი) მოუგეს ბორისოვსა და ლეონიუკს, ქალთა შორის იმარჯვა გრანატუროვა — ჩერნიოვას წყვილმა.

ᲜᲣ ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲐᲕᲗ ᲡᲐᲣᲜᲯᲔᲡ

ᲕᲘᲜᲪ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ...

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

რომ თბილისელებიც გადავჩვევით ცხენოსნურ დღესასწაულს. ლოლა, რომელიც აქ ყოველწლიურად ტარდება ცხენთგამოცდის პროგრამით, მაყურებელს აღარ იზიდავს. **ასპარეზობის არაორგანიზებულობამ, ხშირ შემთხვევაში აშკარა ფარსმა და თვალთმაქცობამ, ცხენოსნობის ყველაზე თავგამოდებული კომაგებიც ჩამოაშორა იპოდრომს.** ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლავთ, რომ იპოდრომზე გამოსაცდელად ცხენების გამოყვანაზე უარს ამბობს ბევრი ცხენსაშენი. ერთი სიტყვით, უგერგილოდ ჩატარებულმა რამდენიმე სეზონმა აშკარად დააკარგა მაყურებელი იპოდრომს, ამ უპირველეს საცხენოსნო კერას. მის ადმინისტრაციას დღეს ისე სჭირდება შველა და დახმარება, როგორც არასდროს. თბილისის იპოდრომზე სისტემატურად უნდა ტარდებოდეს ზეიმები და ასპარეზობები, რომლის პროგრამაში უთუოდ შევა ცხენოსნობის ეროვნული სახეობები. [illegible]

...ალორძინებულიყო ცხენოსნობა. მაგრამ გავიდა რამდენიმე წელი და ძველი მხედრები ისევ გაქრნენ სარბიელიდან. როგორც ჩანს, ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა ბოლომდე ვერ მიიყვანეს კარგად წამოწყებული საქმე. რაც ძალზე გულსატკენია.

ოჩამჩირეშიც შევიტყვეთ სასიხარულო ამბავი — ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელობას დადებითად გადაუწყვეტია საცხენოსნო სპორტული კომპლექსის მშენებლობის საკითხი. ეს სიუცხოვე საჭიროა იქნება არა მარტო რაიონის, არამედ მთელი რესპუბლიკის მხედრებისათვის. ასეთი ბაზა დღემდე არა გვაქვს, ამიტომ ზუგდიდელთა [illegible]

[illegible]

● ᲪᲮᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ

[illegible]

● ᲘᲡᲘᲜᲓᲘ

[illegible]

თ. ᲑᲐᲮᲣᲚᲐᲫᲔ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲖᲔᲘᲛᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲘᲥᲪᲔᲡ

ᲛᲝᲓᲘᲗ, ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲡ ᲕᲔᲬᲕᲘᲝᲗ...

[illegible]

Უ. ᲗᲝᲓᲘᲜᲐᲫᲔ.

● ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ● ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ● ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ● ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ● ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ● ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ● ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ● ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ● ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ● ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ● ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ● ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ● ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲔᲑᲘ

„ᲢᲠᲣᲓᲘᲡ" ᲞᲠᲘᲖᲔᲑᲘ — Დ. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ Ვ. ᲑᲣᲪᲐ...

[illegible]

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

[illegible]

ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲑᲚᲝᲙᲜᲝᲢᲨᲘ

[illegible]

ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 6 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" კ.	12	8	4	0	13—4	20
„ტორპედო"	12	6	4	2	12—6	16
„სპარტაკი"	11	6	2	3	19—12	14
ცსკა	12	5	4	3	15—11	14
„ლოკ." მ.	12	5	3	4	18—11	13
„დინამო" მ.	12	5	3	4	15—10	13
„ზენიტი"	12	5	3	4	15—13	13
„ქაირათი"	12	4	5	3	13—12	13
„არარატი"	13	4	5	4	10—10	13
„დინამო" მნ.	11	4	4	3	10—9	12
[illegible]	13	4	4	5	11—12	12
[illegible]	13	3	6	4	8—13	12
„შახტიორი"	11	4	2	5	12—11	10
[illegible]	13	4	2	7	10—14	10
სკა რ.	12	3	4	5	13—20	10
[illegible]	12	3	3	6	9—14	9
„დნეპრი"	12	2	3	7	9—21	7
[illegible]	11	2	1	8	2—17	5

ᲓᲣᲑᲚᲘᲝᲠᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ

ბაქოში გაიმართა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი [illegible]

I ᲚᲘᲒᲐ

[illegible]

ᲓᲘᲣᲡᲔᲚᲓᲝᲠᲤᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ

[illegible]

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ...

[illegible]

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲖᲔ"

[illegible]

თბილისის სპორტულ ბაზებზე გრძელდება რესპუბლიკის საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა XV სპარტაკიადა, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს ეძღვნება.

„ლოკომოტივის“ სტადიონზე სპარტაკიადის საზეიმო გახსნის მონაწილეებს მიესალმა განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. იოსელიანი.

პროგრამაშია ხუთი სახეობა. ორ სახეობაში შედეგები უკვე შეჯამდა. **მაგიდის ჩოგბურთში** გამარჯვება იზეიმა თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის ნაკრებმა. მომდევნო ადგილებზე კი თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმისა და პოლიტექნიკური ტექნიკუმის კოლექტივები გავიდნენ.

გუშინწინ „ლოკომოტივის“ სტადიონზე **მძლეოსნებმაც** დაამთავრეს ასპარეზობა. ამ სახეობაში ყველაზე ძლიერი იყო თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის გუნდი, რომელმაც საგრძნობლად ჩამოიტოვა მეორე პრიზიორი — საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის ნაკრები. მესამე პრიზიორი გახდა სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის გუნდი.

სურათებზე: სპარტაკიადის საზეიმო გახსნის მომენტები.

● კალათბურთი

კონტინენტის ჩემპიონატის ფინიში

გუშინ გვიან გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი მატჩი, რომელსაც უნდა გაერკვია კონტინენტის უძლიერესი გუნდი. ამ ტიტულს ერთმანეთს ეცილებოდა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი იუგოსლავიის ნაკრები და ევროპის ჩემპიონი სსრ კავშირის გუნდი.

ფინალურ მატჩამდე ჩვენი კალათბურთელები უდანაკარგოდ მივიდნენ. მათ დაამარცხეს ყველა მეტოქე, მათ შორის, იუგოსლაველებიც. 3 ივნისს სსრ კავშირის ნაკრები ეთამაშა ისრაელის გუნდს და გაიმარჯვა — 112:84 (56:32).

მატჩი პირველი წუთებიდანვე ჩვენებმა სწრაფ ტემპში წაიყვანეს. მეტოქენი [illegible] ახორციელებდნენ, მაგრამ არც თუ ზუსტად ტყორცნიდნენ. შესვენებისას ნათელი გახდა, რომ სსრ კავშირის ნაკრები მორიგ გამარჯვებას იზეიმებდა, რადგან ანგარიშში სხვაობა ერთობ დიდი იყო — 24 ქულა. გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინეს ბელოსტენიმ (19 ქულა), იოვაიშამ (18), ტარაკანოვმა და ტკაჩენკომ (14-14).

4 ივნისს იუგოსლაველებმა დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრები — 95:86 (53:42), ხოლო იტალიელებმა მოუგეს ისრაელის გუნდს — 116:98 (43:45) და მე-5 ადგილი დაიკავეს. ბრინჯაოს მედლების კომპლექტს გუშინ ერთმანეთს ეცილებოდნენ ესპანეთისა და ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელები.

● სსრ კავშირის თასი

ზეპოროჟის ხელბურთელების „დუბლი“

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა ზაპოროჟიეს ახკ-ის ხელბურთელთა გუნდმა ახალ წარმატებას მიაღწია — მოიპოვა სსრ კავშირის თასი.

მოსკოვში, სადაც გათამაშდა თასის მაძიებელი ოთხეულის დასკვნითი ტური, გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ძინსკისა და ზაპოროჟიეს გუნდები. ბრძოლა მართლაც სათასო აღმოჩნდა: პირველი ტაიმი მინიმალური უპირატესობით უკრაინელმა სპორტსმენებმა მოიგეს—14:13, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონმა შეძლო საერთო უპირატესობის რეალიზება და საბოლოოდ გამარჯვება — 26:23 მოიპოვა.

ამ მატჩამდე გაიმართა ლვოვის ასკ-ისა და თბილისის „ბურევესტნიკის“ შეხვედრა, რომელიც არაფერს წყვეტდა. უინტერესო მატჩი დამთავრდა ლვოველთა გამარჯვებით — 32:27 (15:11).

სიურპრიზები „როლან გაროზე“

საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე, რომელიც პარიზის „როლან გაროს“ კორტებზე ტარდება, ქალთა ნახევარფინალები და ვაჟთა მეოთხედფინალები ამერიკელ ჩოგბურთელთა მარცხით აღინიშნა.

19 წლის ჩეხოსლოვაკიელმა ჰ. მანდლიკოვამ დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩოგანი კ. ევერტ-ლოიდი 7:5, 6:4. ფინალში მანდლიკოვას შეხვდება ს. ჰანიკა (გფრ), რომელმაც თავის მხრივ მოუგო ა. ეგერს (აშშ) — 4:6, 6:1, 6:4.

ვაჟთა შორის მშვენივრად ასპარეზობს ჩეხოსლოვაკიელი ი. ლენდლი, რომელმაც მეოთხედფინალში მოუგო მსოფლიოს მესამე ჩოგანს — ჯ. მაკინროის (აშშ) — 6:4, 6:4, 7:5.

მთავარი სიურპრიზი მაინც იყო მსოფლიოს მეორე ჩოგანის ამერიკელი ჯ. მაკინროის მარცხი არგენტინელ ხოსე ლუის კლერკთან — იტალიის ღია ჩემპიონატში გამარჯვებულთან. კონორსის უძლიერეს დარტყმებს სამხრეთამერიკელმა ზუსტი თამაში დაუპირისპირა. მატჩი ოთხნახევარ საათს გაგრძელდა და ასეთი შედეგით დასრულდა — 4:6, 6:2, 4:6, 7:5, 6:0.

ერთ ნახევარფინალში ითამაშებენ ლენდლი და კლერკი, მეორეში — ბ. ბორგი (შვეცია) და ვ. პეჩი (პარაგვაი).

რეკორდი

უნგრეთში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ჩეხოსლოვაკიელმა ძალოსანმა ო. ზარემბამ (100 კგ წონითი კატეგორია) 185,5 კგ დაძლია და მსოფლიო რეკორდი დაამყარა ატაცში. მისი შედეგი ნახევარი კილოგრამით სჯობს საბჭოთა ათლეტ დ. რიგერტის ადრინდელ მიღწევას.

რთულ ბრძოლებში მიღწეული გამარჯვება

ამ დღეებში კაუნასში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა 1962–63 წლებში დაბადებულ კალათბურთელ ჭაბუკთა შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ხარკოვის, ჩელიაბინსკის, თბილისისა და კაუნასის გუნდები.

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელმა მ. ასიტაშვილმა გვიამბო ჩვენი გუნდის გამოსვლებზე ამ ასპარეზობაში.

— ყველა შეხვედრა ძალზე დაძაბულად წარიმართა და სპორტსმენთა სრულ მობილიზაციას მოითხოვდა. შედეგის ბედი თითოეულ მოთამაშეზე იყო დამოკიდებული. უნდა ითქვას, რომ ყველა გუნდი თანაბარი სიძლიერით თამაშობდა. გამოცდილ სპეციალისტსაც გაუჭირდებოდა მიახლოებითი პროგნოზის გაკეთებაც კი. თბილისელთა პირველი მეტოქე იყო კაუნასის გუნდი, რომელმაც ამ ასპარეზობაში ერთადერთი წაგება თბილისელებისგან იწვნია. ქართველმა ჭაბუკებმა 7 ქულის სხვაობით დაამარცხეს მასპინძლები (103:96).

შედარებით თანაბრად წარიმართა ბრძოლა მოსკოველებთან შეხვედრაში. ანგარიშში ხან ერთ, ხან მეორე გუნდს მიჰყავდა. მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა მეორე ტაიმის დასაწყისში დაცვაში პრესინგი გამოიყენეს, წინ გავიდნენ და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 108:98.

თბილისის გუნდმა დამაჯერებლად დაიწყო თამაში ხარკოველებთან, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლოსთვის ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა და ამან გაართულა სიტუაცია. შესვენების შემდეგ ხარკოველები 4 ქულით დაწინაურდნენ. თბილისელებმა მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება და 2 ქულით გასწრებაც კი, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე 2 წამით ადრე ხარკოველმა კალათბურთელებმა გაქვითეს იგი. დამატებით 5 წუთში შედარებით გაბედულად და აქტიურად შეუტიეს მეტოქის ნახევარს ქართველმა კალათბურთელებმა, ხელთ იგდეს ინიციატივა და მატჩი მოიგეს ანგარიშით 95:87.

და აი, დარჩა კიდევ ერთი შეხვედრა, რომლის შედეგიც წყვეტდა პირველი ადგილის ბედს. ჩელიაბინსკის გუნდთან ერთი ქულის სხვაობით წაგებაც კი ოქროს მედლებს გვაკარგვინებდა. ყველა მოთამაშეს კარგად ჰქონდა შეგნებული შექმნილი მდგომარეობა და ცდილობდნენ ყველაფერი გაეკეთებინათ გამარჯვებისთვის. დაძაბულ და გადამწყვეტ სპორტულ ბრძოლაში თბილისელებმა 10 ქულით დაჯაბნეს მეტოქე—(90:80) და ჩემპიონობა მოიპოვეს. II ადგილზე გავიდა კაუნასის გუნდი, III — ხარკოვის ნაკრები.

გამარჯვებულთა ღირსებას იცავდნენ ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენები: გ. დარსაძე, პ. გულისპაური, ვ. დერიუგინი, ბ. ლიპარტელიანი, პ. გელბახიანი, ზ. გურგენიძე, თ. ბაბუნაშვილი, ზ. ლონღაძე, ზ. ტომარაძე, ი. კეჭალმაძე და ბ. ლობჟანიძე.

ჩვენი მიზანია უმაღლესი ლიგის „დინამოს“ ოსტატთა გუნდმა ღირსეული ცვლა მიიღოს. ამისთვის კი ახალგაზრდებმა მზადების დიდი სკოლა უნდა გაიარონ. სპეციალისტებსაც ბევრი საფიქრალ-საზრუნავი გვაქვს.

ა. ზენკო.

სურათზე: თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა ახალგაზრდული გუნდი.

● რეგბი

ჩემპიონატი განახლდა

8 ივნისს მოსკოვში, განახლდა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობა რეგბიში, XVIII ჩემპიონატის ყველა 12 მონაწილე აქ გამართავს პირველი წრის დასკვნით შეხვედრებს და გაირკვევა იმ 8 უძლიერესის ვინაობა, რომლებიც შემდეგ 2 წრედ (მიმოსვლით) გააგრძელებენ ასპარეზობას.

პირველნი მინდორზე გამოვიდნენ თბილისის „ლოკომოტივი“ და ლვოვის „სოკოლი“. იმის მიუხედავად, რომ რკინიგზელთა შემადგენლობაში (სენების გამო) არ იყვნენ თავდამსხმელები —გუნდის კაპიტანი ლიბრაძე, ლიპარტელიანი და ნახევარმცველი ზ. ხარშილაძე, მათ ალმავლობით ითამაშეს და გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 38:0.

სხვა შეხვედრების შედეგები ასეთია: „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „შევარდენი“ (თბილისი) 35:3, „სლავა“ (მოსკოვი) — „კოსმოსი“ (ალმა-ათა) 39:13, „ავიატორი“ (კიევი) — „ექსკავატორტიაჟსტროი“ (კრასნოიარსკი) 29:24, „სახლმშენი“ (ქუთაისი) — „ფილი“ (მოსკოვი) 12:41, „ავტომობილისტი“ (მოსკოვი) — სსა (მონინო) 6:21.

● ფარიკაობა

მოსკოვში გრძელდება მოფარიკავეთა საკავშირო ჩემპიონატი. რაპირით ვაჟთა ასპარეზობა მოიგო მინსკელმა ა. რომანკოვმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა ფრუნზელი ი. ლიკოვი. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ოლიმპიურ ჩემპიონს ვ. სმირნოვს (კიევი).

● ველოსპორტი

ინგლისის გზებზე მიმდინარე ველოსიპედისტთა მრავალდღიან საერთაშორისო შეჯიბრებაში 9 ეტაპის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო კუიბიშეველმა ა. ვედერნიკოვმა. IX ეტაპზე ფინიშთან პირველი იყო ნორვეგიელი დ. პედერსენი — 2:15.15. ასეთივე შედეგი ჰქონდა ვედერნიკოვს. ლიდერს 51 წამით ჩამორჩება და II ადგილზეა მისი თანაგუნდელი ს. კრივოშეევი, გუნდურ ჩათვლაში წინ არიან პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ველოსიპედისტები.

● ჭადრაკი

პოლონეთის ქალაქ პიოტრკოვ-ტრიბუნალსკში დამთავრდა ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 13 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

ფინიშის მღელვარებამ დიდად იმოქმედა თბილისელ ოსტატ თ. ხუგაშვილზე და ბოლოსწინა, XII ტურში აუტსაიდერ ლ. ქიკმანთან (რუმინეთი) შეხვედრაში დამარცხდა. დასკვნით ტურში კი სძლია პირველი ადგილის მთავარ პრეტენდენტს პოლონელ გ. შმაცინსკას, მაგრამ მხოლოდ 7,5 ქულა დაუგროვდა და III-IV ადგილები გაიყო რუმინელ მ. პოგოროვიჩთან, თუმცა კოეფიციენტთა ცხრილით IV ადგილზე დარჩა.

I ადგილი დაიკავა კ. რაძიკოვსკამ (პოლონეთი) — 8 ქულა, II — შმაცინსკამ, რომელმაც აგრეთვე 8 ქულა მოაგროვა, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილით უარესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა.

პანორამა

● შაში

მინსკში დაიწყო სსრ კავშირისა და ჰოლანდიის მოშაშეთა ტრადიციული, X ამხანაგური მატჩი ასუჯრიან შაშში. თითოეულ გუნდში 10 დიდოსტატი და ოსტატია, მათ შორის არიან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორები.

I ტურში 7 პარტია ყაიმით დამთავრდა. ციბისი (სსრ კავშირი) დამარცხდა ბისთან, მოგილიანსკი (სსრ კავშირი) —ბასტიანეტთან, ხოლო დავიდოვმა (სსრ კავშირი) მოუგო დე იონგს, ამრიგად დაწინაურდნენ სტუმრები — 5,5:4,5.

● მძლეოსნობა

ოსტრავაში გამართულ მძლეოსანთა ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში — „ზლატა ტრეტრა“ („ოქროს ქაცვი“) კარგად გამოვიდნენ საბჭოთა ოსტატები. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლენინგრადელმა ტ. კაზანკინამ საუკეთესო შედეგი აჩვენა 1500 მეტრზე რბენაში — 4.08,95. მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი ტ. ანისიმოვა (ლენინგრადი) უძლიერესი იყო 100 მეტრზე თარჯრბენში — 12,86. მოსკოველმა ი. ნაზაროვამ წარმატებას მიაღწია 400 მეტრზე შეჯიბრებაში — 51,81, ხოლო რიგელი ოლიმპიური ჩემპიონის დ. კულას შუბმა 85,88 მეტრზე იფრინა.

ლონდონში მოსკოვის თამაშების ჩემპიონმა ს. კოემ 800 მეტრზე ასპარეზობისას წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგი — 1.44,06 აჩვენა. მოსკოვის ოლიმპიადის მეორე ჩემპიონმა ს. ოვეტმა იმარჯვა 3000 მეტრზე რბენაში — 7.54,11. 10 კილომეტრზე შეჯიბრება მოიგო XXII თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა მ. კედირმა (ეთიოპია) — 28.07,35. ამერიკელებიდან თავი გამოიჩინა ა. კემპბელმა. მან გაიმარჯვა 110 მეტრზე თარჯრბენში — 13.76. მონრეალის თამაშების ჩემპიონის მ. ნემეტის (უნგრეთი) შუბმა 83,50 მ იფრინა.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონი: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტურ წესით საგაზეთო ქარაუსში, ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 07987